პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 26 იანვარი, 1951 წ. № 22 (8876). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა აქტივი საარჩევნო კამპანიის დიდი ძალაა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სტალინმა მოგვანიჭა ბედნიერება (1-ლი გვერდი).
იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი რეგისტრირებულია უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (1-ლი გვერდი).
საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობა შეუდგა მუშაობას (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა — გაზეთი კარგად აშუქებს არჩევნებისათვის მზადებას (მე-3 გვერდი).
გადაჭრით გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო კადრების მომზადება (მე-3 გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ორგანიზაცია (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
იტალიის სოციალისტური პარტიის 29-ე ყრილობის რეზოლუცია (მე-4 გვერდი).

საბჭოთა აქტივი საარჩევნო კამპანიის დიდი ძალაა

ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიზმი ხორციელდება ყველაზე თანმიმდევრულად საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. დიადი სტალინური კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა, რომელიც განამტკიცებს ისეთ საზოგადოებრივ წესწყობილებას, რაც ხელსაყრელია მშრომელთა მასებისათვის. საბჭოთა კავშირში ხალხი და ხელისუფლება ერთიანია, რადგან ხელისუფლება ნამდვილად ეკუთვნის ხალხს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით, რომლებსაც მოსახლეობა ირჩევს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ამხანაგი სტალინი, ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს წარმოთქმულ თავის ისტორიულ სიტყვაში ახასიათებდა რა ჩვენს არჩევნებს, ამბობდა:

„ასეთი თავისუფალი და ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალისტური წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის ბაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში... ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ უკაპიტალისტებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს საქმით. ჩვენს მინდვრებში მიწის მუშაკები მუშაობენ უმემამულეებოდ, უკულაკებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს ყოფაცხოვრებაში, სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას.

აი ამ ბაზაზე აღმოცენდა სწორედ ჩვენში ახალი, ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არჩევნები, რომლის მაგალითი არ არის კაცობრიობის ისტორიაში".

ჩვენს ქვეყანაში ხალხიდან გამოსული ადამიანები ხელმძღვანელობენ მუშაობის ყველა დარგს. ეს არის საბჭოთა, სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი შესანიშნავი თავისებურება. ამაშია დემოკრატიის ყველა სხვა ფორმის წინაშე მისი უპირატესობა.

საქართველოს მშრომელთა შემოქმედებითმა ინიციატივამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ადგილობრივი საბჭოების ამასწინათ ჩატარებული არჩევნების დროს. საბჭოების გარშემო დარაზმული ათეულათასობით აქტივისტი საქმიან მონაწილეობას იღებდა საარჩევნო კამპანიაში. ისევე როგორც მოძმე რესპუბლიკების, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებშიც მრავალი საბჭოთა ადამიანი აქტიურად მუშაობდა საარჩევნო კომისიებში, ნდობით აღჭურვილ პირებად და აგიტატორებად. ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობით საბჭოთა აქტივი დიდ მუშაობას ეწეოდა არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადებისათვის. სწორედ საბჭოთა აქტივმა უზრუნველყო ოლქებისა და საარჩევნო უბნების საზღვრების დაზუსტება, ყველა სხვა ორგანიზაციული საკითხის წარმატებით გადაწყვეტა, რამაც ხელი შეუწყო თვითეული ამომრჩევლის მონაწილეობას ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების პერიოდში შესანიშნავი აქტივი შემოიკრიბეს თავის გარშემო ქუთაისისა და გორის საქალაქო საბჭოებმა, ზუგდიდის, ჩოხატაურის, სამტრედიის, ზესტაფონის და ყვარლის რაიონულმა საბჭოებმა, თბილისის გარეუბნის დიღმის, ზესტაფონის რაიონის შორაპნის, მახარაძის რაიონის შრომის, გურჯაანის რაიონის ველისციხის, თელავის რაიონის რუისპირის და მთელი რიგი სხვა რაიონების სასოფლო საბჭოებმა. საბჭოთა აქტივის რიგებში არიან ქალაქებისა და სოფლების წარჩინებული ადამიანები, ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეები, ინტელიგენტური შრომის ადამიანები. ბევრ მათგანს ხალხმა გამოუცხადა დიდი ნდობა და აირჩია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს დეპუტატად. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები აქტივზე დაყრდნობით, მათი ქმედითი მონაწილეობით წარმატებით წყვეტენ მათს წინაშე მდგომ სერიოზული მნიშვნელობის სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებს.

ამოცანა ის არის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში უფრო ფართოდ ჩავაბათ პარტიული და საბჭოთა აქტივი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მისი გამოცდილება და უნარი საარჩევნო კამპანიაში, პირველ რიგში კი არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 352 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიებში სამუშაოდ ხალხმა წარგზავნა თავისი 3.000-ზე მეტი საუკეთესო წარმომადგენელი. ამაზე ბევრად უფრო მეტია საუბნო საარჩევნო კომისიებში წარგზავნილი საბჭოთა აქტივისტების რიცხვი. ათეულ ათასობით ადამიანი მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო უბნებისათვის შენობების მომზადებასა და არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებაში. ადგილობრივი საბჭოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ არჩევნების ორგანიზაციული მომზადება, მოვალენი არიან მოიზიდონ და საარჩევნო კამპანიაში უფრო ფართოდ ჩააბან საბჭოთა აქტივისტები.

საბჭოთა აქტივისტები, რომლებიც ადგილობრივ საბჭოებს ეხმარებიან არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში, ამით იძენენ მშრომელთა მასებში ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილებას. რიგითი მუშა, კოლმეურნე, მასწავლებელი, ინჟინერი, დიასახლისი, მონაწილეობს რა საარჩევნო კამპანიაში, ამით პრაქტიკულად ებმება სახელმწიფოს მართვის საქმეში, სწავლობს სამეურნეო, კულტურული და საყოფაცხოვრებო დარგის უმნიშვნელოვანესი საკითხების დაყენებასა და გადაწყვეტას, ხდება საზოგადო მოღვაწე.

საარჩევნო კამპანიის აქტივისტები — ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შესანიშნავი რეზერვია სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოში დაწინაურებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო მოღვაწეები გამოდიან ხალხის სიღრმიდან და იზრდებიან პრაქტიკულ სამუშაოზე პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. სწორედ ამიტომ აუცილებელია ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ჩავაბათ მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი ნაწილი. საბჭოებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ საბჭოთა აქტივი ფართოდ მიიზიდონ მუდმივი კომისიების მუშაობაში, უზრუნველყონ მისი აქტიური მონაწილეობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში.

ლენინ-სტალინის დიადი პარტია ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი ძალაა. იგი აერთიანებს და წარმართავს მშრომელთა ყველა მასობრივი ორგანიზაციის, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების მთელ საქმიანობას. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ადგილობრივი საბჭოებისადმი, ხელი შეუწყონ აქტივის ფართო მონაწილეობას მათს საქმიანობაში, დაეხმარონ საბჭოებს სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოები შეძლებენ კიდევ უფრო მეტად გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი ინიციატივა, აამაღლონ მშრომელთა მასების პოლიტიკური აქტივობა, უზრუნველყონ მიმდინარე საარჩევნო კამპანიის წარმატება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1951 წლის 25 იანვარს მოსკოვში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 60 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი აკადემიკოსი სერგი ივანეს-ძე **ვავილოვი.**

აკადემიკოს ს. ი. **ვავილოვის** სახით საბჭოთა ხალხმა დაკარგა დიდი მეცნიერი და გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.

მთელი თავისი ძალ-ღონე და ცოდნა აკადემიკოსმა ს. ი. ვავილოვმა მოახმარა სამშობლოს, საბჭოთა მეცნიერების, კომუნიზმის დიადი საქმის თავდადებულ სამსახურს.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 28 იანვარს.

ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქი

სტალინმა მოგვანიჭა ბედნიერება

ლენინგრადი, 23 იანვარი. (საკდესი). „დიდი ნდობა გაუწია, დიდი პატივი დასდო ლენინგრადელებს მშობლიურმა და საყვარელმა ამხანაგმა სტალინმა. მისდამი, დეპუტატობის პირველი საყოველთაო-სახალხო კანდიდატისადმი, მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის, მძლავრი საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის შეუდრეკელი მებრძოლისადმი, მიპყრობილია ჩვენი თვალი".

აგიტატორი კითხულობს კიროვის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი საოლქო წინასაარჩევნო კრების მიმართვის სტრიქონებს. მსმენელთა სახე უბრწყინავთ სიხარულის ღიმილით — აგიტატორი, კიროვის ქარხნის ბრიგადირი ამხ. მ. ა. ნოვიკოვი, ხომ ნარვის გარეუბნის თვითეული მცხოვრების, თვითეული ლენინგრადელის გულისნადებს იმეორებს.

ამომრჩევლებისადმი მიმართვას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ნარვის გარეუბანში. უფრო ფართოდ გაჩაღდა შრომითი შეჯიბრება დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატის ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

—არჩევნების დღისათვის ჩვენ ვემზადებით, როგორც დიდი დღესასწაულისათვის. — ამბობს კიროვის ქარხნის ოსტატი ამხ. კ. ა. პუგლევი. — საოლქო წინასაარჩევნო კრების მიმართვას მგლინავები შეხვდნენ, როგორც მოწოდებას ახალი შრომითი წარმატებებისათვის ბრძოლისაკენ. ბრიგადების გამომუშავება 25-35 პროცენტით აღემატება იანვრის პირველი დღეების მაჩვენებლებს. ი. ი. ივანოვისა და ა. ი. შირიაკოვის ბრიგადებმა თვითეულმა თითქმის 25 ტონა ნაგლინი გამოუშვეს გეგმის გადამეტებით.

აგიტატორები დაწვრილებით აცნობენ ამომრჩევლებს მიმართვის ტექსტს. მუშები მხურვალედ ეხმაურებიან მოწოდებას იმის შესახებ, რომ არჩევნებისათვის მზადება აღინიშნოს ახალი წარმატებებით ტექნიკური პროგრესისათვის, საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის ბრძოლაში. 30 საწარმოს, 170 საამქროს, 636 ბრიგადისა და უბნის კოლექტივებმა და 20 ათასმა სტახანოველმა, რომლებიც წინასაარჩევნო ვახტზე დადგნენ, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს.

იანვრის გეგმის გადაჭარბებით შესრულება იკისრა ქარხანა „კრასნი ხიმიკის" კოლექტივმა. უკანასკნელ დღეებში წამყვანი საამქროების სტახანოველთა გამომუშავება 10-12 პროცენტით გადიდდა. რეზეოსტროვსკის საფეიქრო ფაბრიკის მუშებმა სამ დღეში 15 ათას მეტრამდე ქსოვილი დაამზადეს გეგმის გადამეტებით. იზრდება ორასოვანთა და სამასოვანთა რიგები კიროვის ქარხნის საამქროებში. საწარმოს რაციონალიზატორებმა ეკონომიის პირადი ანგარიშები გახსნეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის აღსანიშნავად.

აგიტატორები ამომრჩევლებს უმართავენ გულითად საუბრებს საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის შესახებ.

— როცა ისმენ ამომრჩეველთა ნათქვამს ამხანაგ სტალინზე, გული ბედნიერებით გევსება, — ამბობს აგიტატორი — კიროვის ქარხნის წარჩინებული მჩნეველი ამხ. მ. ა. ფედოტოვა, — ჩვენ გულთბილად გვიღებენ ყველგან, გვთხოვენ მეტი რამ ვუამბოთ ამხანაგ სტალინზე, სიყვარულით წარმოთქვამენ ამ მშობლიურ სახელს. ამომრჩევლები სიამაყით ამბობენ, რომ 18 თებერვალს ყველანი ერთსულოვნად მისცემენ ხმას ამხანაგ სტალინს—ხმას მისცემენ ბედნიერებას, მშვიდობას, კომუნიზმს.

— ამხანაგმა სტალინმა ნათელი მოფინა ჩვენს ცხოვრებას, თავისუფლება და ბედნიერება მოგვანიჭა, — ამბობს ამომრჩეველი ამხ. პ. ბარსუკოვა. — მისი ზრუნვით გამთბარნი შეძლებულად და სამუდამოდ ვცხოვრობთ. აი ჩემი ქმარი დანიელ პეტრეს-ძე პუტილოვის ქარხანაში უბრალო მუშა იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კვალიფიკაცია აიმაღლა და ახლა საამქროს უფროსის მოადგილედ მუშაობს. სტალინურმა კონსტიტუციამ უზრუნველყო ამ უბრალო ადამიანისათვის შემოქმედებითი შრომის უფლება.

— სიტყვები არ მყოფნის, რომ ჩვენი მადლობა ვუძღვნა ამხანაგ სტალინს, — ამბობს მევალცავი ვ. ვ. ფადეევი.— ყოველი კიროველის საპატიო ვალია თავდადებული სტახანოვური შრომით უპასუხოს იმ პატივს, რაც მშობლიურმა ბელადმა დაგვდო.

ნარვის გარეუბნის მცხოვრებმა ამხ. ო. ი. ბორისენკომ, რომელიც გაფიცვების პროსპექტის № 31 სახლში ცხოვრობს, წერილი მოიტანა სააგიტაციო პუნქტში.

„ყველაზე დიდი პატივი ჩვენთვის, — წერს იგი, — ის არის, რომ ხმა მივცეთ საყვარელ ამხანაგ ი. ბ. სტალინს. არჩევნების დღეს — 18 თებერვალს — მე პირველი მივცემ ხმას რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ჩვენს ძვირფას კანდიდატს. მადლობა ამხანაგ სტალინს ყოველივე იმისათვის, რაც მან უბრალო ადამიანებს გაუკეთა!"

წინასაარჩევნო საოლქო კრების მიმართვას მხურვალედ უჭერს მხარს ოლქის ყველა ამომრჩეველი. კიროველთა საერთო სურვილია ხმა მისცენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ფუძემდებელსა და ხელმძღვანელს, მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალურ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

ქალაქ კიევის სტალინის საარჩევნო ოლქი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

რეგისტრირებულია უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

კიევი, 24 იანვარი. (საკდესი). უკრაინის დედაქალაქის საწარმოთა საამქროებში და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ლაბორატორიებში, სტუდენტთა აუდიტორიებში, ყოველ სახლში და ყოველ ბინაზე ერთმანეთს გადასცემენ აღმაფრთოვანებელ ამბავს: სტალინის ოლქის ამომრჩევლებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს წილად ხვდათ მაღალი პატივი — დიდი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

დღეს უკრაინის სსრ განათლების სამინისტროს დარბაზში საწარმოთა კოლექტივების, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მშრომელთა ორგანიზაციებისა და საზოგადოებების მრავალი წარმომადგენლის თანდასწრებით გაიმართა სტალინის № 2 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. დ. ზოლოტოვერხი, ხსნის რა სხდომას, ამბობს:

— ბედნიერი ვარ გაცნობოთ სასიხარულო ამბავი — ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ კიევის სტალინის საარჩევნო ოლქში.

დამსწრენი ამ ცნობას ხანგრძლივი, აღფრთოვანებული ოვაციით შეხვდნენ.

სიტყვა ეძლევა კიევის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივის წარმომადგენელს, მექანიკური საამქროს ზეინკალთა ბრიგადირს ამხ. ვ. ტ. გუძივნის. იგი ამბობს:

— დიდი ბედნიერება გვხვდა წილად ჩვენ, სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელებს. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს ოლქში. უდიდესი სიხარულით აღსავსეა ჩვენი გული.

სტალინი არის ჩვენი ქვეყნის მშვენიერი აწმყო და კიდევ უფრო ბრწყინვალე კომუნისტური მომავალი. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება, წარმატებით დაამთავრა ომისშემდგომი ხუთწლედი და მტკიცედ მიდის წინ, ახორციელებს რა მშენებლობის ახალ გრანდიოზულ გეგმებს. სტალინი ყველა ჩვენი გამარჯვების დროშაა, პროგრესისათვის, დემოკრატიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის დროშაა.

იმის პასუხად, რომ ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე სტალინის საარჩევნო ოლქში, ჩვენი მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. საწარმოს კოლექტივის სახელით ვთხოვ საოლქო საარჩევნო კომისიას უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის გმირ პარტიას! **(ტაში).**

გაუმარჯოს მშრომელთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, მშვიდობის მედროშეს დიდ სტალინს! **(მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია).**

ინტელიგენციის სახელით გამოდის უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. ვ. ვ. დანილევსკი. გულში ჩამწვდომად გაისმის მისი სიტყვები:

— სულ უფრო მძლავრად, უფრო წარმტაცად გვინათებს ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, კომუნიზმის მზე. ეს სინათლე მოდის ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვიდან, ძველი კრემლიდან, რომელიც აღმართულია, როგორც მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმის დროშა. დიდმა სტალინმა ადამიანებს მისცა ბედნიერება. და ყოველი საბჭოთა ადამიანი მზადაა სიხარულით მისცეს ხმა გენიალურ ბელადს, ყველაზე მშობლიურ და ბრძენ ადამიანს — ამხანაგ სტალინს. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა მსოფლიო მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ცენტრი გახდა. დღეს საბჭოთა სახელმწიფო დგას, როგორც უძლეველი ბურჯი მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დარბაზში კვლავ იმართება მქუხარე ოვაცია, ყოველი მხრიდან გაისმის მისალმების შეძახილები ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

სხდომაზე გამოვიდნენ კიევის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. ა. პ. იგნატენკო, ექიმი ამხ. ო. ვ. ლემეშევსკაია. მათ ილაპარაკეს უკრაინელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებაზე მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი და სთხოვეს საოლქო საარჩევნო კომისიას უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

საოლქო საარჩევნო კომისიამ მქუხარე ტაშით ერთხმად მიიღო დადგენილება რეგისტრირებულ იქნას ამხანაგი ი. ბ. სტალინი უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ კიევის სტალინის № 2 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობა შეუდგა მუშაობას

გუშინ, 25 იანვარს, თბილისში, ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XVIII ყრილობა.

ყრილობაზე დასასწრებად დედაქალაქში ჩამოვიდნენ საქართველოს ყველა რაიონის ახალგაზრდობის მოწინავე წარმომადგენლები. დელეგატთა შორის ბევრია ფაბრიკა-ქარხნების, საკოლმეურნეო მინდვრების, მშენებლობათა სტახანოველები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ახალგაზრდა მოღვაწენი, სოციალისტური შრომის გმირები, ორდენოსნები.

კლუბის ფოიეში გამოფენილია საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობის სახელზე ახალგაზრდობის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები.

ყრილობის გახსნის მოლოდინში დარბაზში უჩვეულო სიხალისეა. სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული დელეგატები ერთმანეთს უზიარებენ დედაქალაქში მიღებულ შთაბეჭდილებას, ლაპარაკობენ თავიანთ შრომითს წარმატებებზე.

სცენის წინ ტრანსპარანტზე ელავენ სიტყვები:

— დიდება დიდ სტალინს!

ეს სიტყვები ყველა ახალგაზრდის, მთელი საბჭოთა ხალხის გულისთქმას გამოხატავს. ისინი უდიდესი მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალული დიდი სტალინისადმი, ვინც საბჭოთა ახალგაზრდობას ასეთი ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა, ვინც ყოველდღიურად ზრუნავს მის აწმყოსა და მომავალზე, ვინც აღზარდა, გამოაწრთო კომკავშირი დიადი ბოლშევიკური პარტიის ერთგულ თანაშემწედ.

იხდება ფარდა. დარბაზში მყოფნი სიამაყით შეჰყურებენ ოთხ ორდენს, რომლითაც ლენინური კომკავშირი დააჯილდოვა საბჭოთა მთავრობამ, სიყვარულით შესცქერიან დიდი ლენინისა და დიდი სტალინის შთამაგონებელ სახეებს.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ზოდელავა საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობას გახსნილად აცხადებს.

ყრილობა მქუხარე ტაშით საქმიან პრეზიდიუმში ერთხმად ირჩევს ამხანაგებს კ. ჩარკვიანს, ზ. ჩხუბიანიშვილს, ვ. გოგუას, მ. ბარამიას, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვ. კოჩემასოვს, ა. თოფურიძეს, ვ. ცხოვრებაშვილს, რ. შადურს, გ. ზამბახიძეს, ზ. კეცხოველს, ვ. ბაქრაძეს, ს. იშხანოვს, კ. ციმაკურიძეს, ნ. რუხაძეს, მ. ლელაშვილს, ი. კოპლამაზაშვილს, კ. პიპინაძეს, ნ. რომანოვს, ი. ზოდელავას, გ. კიკნაძეს, ვ. კუპრაძეს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მოადგილეს გ. გნეზდილოვას, მ. თათარაშვილს, მ. ქორქიკაშვილს, ა. კინწურაშვილს, მ. მეგრელიშვილს, ლ. შამბას, ნ. ჩელებაძეს, ტ. ხუხუას და სხვებს.

შემდეგ ყრილობა ირჩევს სამანდატო კომისიას, სამდივნოს და სარედაქციო კომისიას.

დელეგატები მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ნ. მიხაილოვს.

ყრილობა ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის ანგარიში, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის არჩევნები, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველ საკითხზე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში—მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ზოდელავამ.

მეორე საკითხზე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის ანგარიში — მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. კავთიაშვილი.

ყრილობამ მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მისასალმებელი დეპეშის ტექსტი მიიღო ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობრის დიდი სტალინის სახელზე.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა. დღეს დილის 11 საათიდან ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

ამბ. ვ. გ. ოქრომიშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქარელის № 76 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ვარა გიორგის ასული ოქრომიშვილი, ქარელის ბერძენის სახელობის კოლეტეხნიკის მეოროლური, უპარტიო, 1905 წელს დაბადებული, სოფელ ქარელის მცხოვრები.

ამბ. ი. ბ. რთველიაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქარელის რაიონის რუისის № 77 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. იოსიბ გიორგისძე რთველიაშვილი, საქართველოს კ. ბ. (ბ) ქარელის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1917 წელს დაბადებული, სოფელ ქარელის მცხოვრები.

ამბ. ბ. ა. გოჩაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქარელის რაიონის აგარის № 78 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. გიორგი ალექსანდრისძე გოჩაშვილი, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1904 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ს. ს. როსტომაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქარელის რაიონის აბისის № 79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. სერგო სავლისძე როსტომაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1903 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. თ. ო. ჭაბუკაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქარელის რაიონის ზღვიერის № 80 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. თამარ ოხისძეს ასული ბაბეკაშვილი, სოფელ კეხიჯურის მალეფრთის სახელობის კოლეტეხნიკის წევრი, უპარტიო, 1920 წელს დაბადებული, სოფელ კეხიჯურის მცხოვრები.

ამბ. ი. ბ. ქარუმიძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ხაშურის ბერთის № 82 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. იოსიბ გიორგისძე ქარუმიძე, ამიერკავკასიის რკინიგზების თბილისის განყოფილების უფროსი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1908 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ნ. ნ. თაქთაქიშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ხაშურის რაიონის სურამის № 83 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ნესტორის ასული თაქთაქიშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სურამის სანატორიუმის მთავარი ექიმი, უპარტიო, 1900 წელს დაბადებული, დაბა სურამის მცხოვრები.

ამბ. ე. ნ. ენგიბაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ხაშურის რაიონის გომის № 84 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ელეზე ნიკოლოზის ასული ენგიბაძე, ზემო ოსიაურის სტანციის სახელობის კოლეტეხნიკის მეოროლური, უპარტიო, 1918 წელს დაბადებული, სოფელ ზემო ოსიაურის მცხოვრები.

ამბ. ი. პ. ბარბაქაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ხაშურის რაიონის № 85 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ილია პავლესძე ბარბაქაძე, ამიერკავკასიის რკინიგზების ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადიერი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1899 წელს დაბადებული, ქალაქ ხაშურის მცხოვრები.

ამბ. ბ. ბ. ფოფხაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ხაშურის რაიონის № 86 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. გრიგოლ გიორგისძე ფოფხაძე, საქართველოს კ. ბ. (ბ) ხაშურის რაიონის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1914 წელს დაბადებული, ქალაქ ხაშურის მცხოვრები.

ამბ. ა. ა. ბარათაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბორჯომის № 87 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ანა აღექსანდრეს ასული ბარათაშვილი, ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხნის სტახანოველი მუშა, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1912 წელს დაბადებული, ქალაქ ბორჯომის მცხოვრები.

ამბ. მ. ნ. აბრამაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბორჯომის რაიონის დვირის № 88 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. მარიამ ნიკოლოზის ასული აბრამაშვილი, ახალდაბის რეგიონული სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, 1902 წელს დაბადებული, სოფელ ახალდაბის მცხოვრები.

ამბ. დ. ვ. ბელაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბორჯომის რაიონის წაღვერის № 89 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. დიმიტრი ვასილისძე გელაშვილი, საქართველოს კ. ბ. (ბ) ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1908 წელს დაბადებული, ქალაქ ბორჯომის მცხოვრები.

ამბ. ი. ი. ქებისაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალციხის ლენინის № 90 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ილია იოსიბის-ძე ძაბისაშვილი, საქართველოს კ. ბ. (ბ) ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1906 წელს დაბადებული, ქალაქ ახალციხის მცხოვრები.

ამბ. მ. დ. ჭანკვეტაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალციხის ჯაფარიძის № 91 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. მარგარიტა დავითის ასული ჭანკვეტაძე, ურაველის 26 კომისრის სახელობის კოლეტეხნიკის წევრი, საკავშირო აღკ კ. წევრი, 1925 წელს დაბადებული, სოფელ ურაველის მცხოვრები.

ამბ. ა. თ. კვაჭაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალციხის რაიონის აწყურის № 92 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ალექსანდრე თომას-ძე კვაჭაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თავმჯდომარე, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1900 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ბ. დ. ჯაკეხიშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალციხის რაიონის ვალეს № 93 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. გივი დამიტრის-ძე ჯაფარიძე, საქართველოს კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მმართველობის განყოფილების გამგე, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1912 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ვ. ი. ბერიშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ადიგენის № 94 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ვარო სიმონის ასული ბერიშვილი, სოფელ აქიეთის კოლმეურნეობა „სოციალიზმის" წევრი, უპარტიო, 1922 წელს დაბადებული, სოფელ აქიეთის მცხოვრები.

ამბ. ნ. ი. ნამიჩეიშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ადიგენის რაიონის ბეჯარის № 95 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. გერონტი ილარიონის-ძე ნამიჩეიშვილი, საქართველოს კ. ბ. (ბ) ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1910 წელს დაბადებული, სოფელ ადიგენის მცხოვრები.

ამბ. ნ. მ. ჯიბლაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ასპინძის № 96 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ნიკოლოზ მელქისეგის-ძე ჯიბლაძე, საქართველოს კ. ბ. (ბ) ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1913 წელს დაბადებული, სოფელ ასპინძის მცხოვრები.

ამბ. ა. ა. ჭარაქაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალქალაქის № 97 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ალექსანდრე პავლეს-ძე ტარასოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1904 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ნ. მ. ერიციანის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალქალაქის № 98 სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ნაზმა მარტიროსის ასული ერიციანი, სოფელ ამელეს კოლმეურნეობის სარეკონ-სასაქონლო ფერმის მწყემსი, უპარტიო, 1922 წელს დაბადებული, სოფელ ამელეს მცხოვრები.

ამბ. ნ. ბ. სარქისოვის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალქალაქის რაიონის ალასტანის № 99 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ნიკოლოზ პეტრეს-ძე სარქისოვი, საქართველოს კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო განყოფილების გამგის მოადგილე, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1902 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ბ. ბ. მიქელაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალქალაქის რაიონის ოკამის № 100 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ბიხეილ გერასიმის-ძე მელაძე, გენერალ-მაიორი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1899 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ბ. ი. მიხანაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალქალაქის რაიონის ბარალეთის № 101 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. გიორგი ილიას-ძე მიხანაშვილი, საქართველოს კ. ბ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1904 წელს დაბადებული, ქალაქ ახალქალაქის მცხოვრები.

ამბ. ა. ს. არზუმანიანის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოგდანოვკის № 102 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. აზგაფუშ სიმონის ასული არზუმანიანი, სოფელ ხოჯაბეგის კალინინის სახელობის კოლეტეხნიკის წევრი, მწველავი, უპარტიო, 1920 წელს დაბადებული, სოფელ ნოჯაბეგის მცხოვრები.

ამბ. ი. დ. ლუკარსაბოვის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოგდანოვკის რაიონის ჯიგრაშენის № 103 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ივანე დავითის-ძე ლუკარსაბოვი, საქართველოს კ. ბ. (ბ) ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1905 წელს დაბადებული, სოფელ ბოგდანოვკის მცხოვრები.

ამბ. ნ. ვ. პაპეჭინსკის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოგდანოვკის რაიონის განძაონის № 104 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ნიკოლოზ ელადიმერის-ძე პაპეჭინსკი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პასუხისმგებელი რედაქტორი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1888 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. უ. მ. ნურიევას კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დმანისის № 105 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ფარიდა მამედ ყზი ნურიევა, დმანისის რაიონის სოფელ შინდილიანის მწყრალნი სოფლის დირექტორი, საკავშირო აღკ წევრი, 1924 წელს დაბადებული, სოფელ შინდილიარის მცხოვრები.

ამბ. ი. ლ. დვალის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. იუანე ლუარსაბის-ძე დვალი, საქართველოს კ. ბ. (ბ) დმანისის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1904 წელს დაბადებული, სოფელ დმანისის მცხოვრები.

ამბ. ა. მ. გინდინის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წალკის № 108 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ოროს მარკოზის-ძე გინდინი, ტრესტ „ხრამჰესშენის" მთავარი ინჟინერი, უპარტიო, 1903 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ი. ი. კაპელაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წალკის რაიონის ბეშთაშენის № 109 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. იაკიმ ირაკლის-ძე კაპელაძე, ბენერალ-მაიორი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1899 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ი. ს. ფრანგულიანის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წალკის რაიონის ავრარლოს № 110 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ივანე სიმონის-ძე ფრანგულიანი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე და მთავარი სანიტარიული ინსპექტორი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1887 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ა. კ. მაკაროვის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წალკის რაიონის ედიბილისის № 111 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. სთანისე კუზმის-ძე მაკაროვი, ბრრიმეოლთა დეპუტატების წალკის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1915 წელს დაბადებული, სოფელ წალკის მცხოვრები.

ამბ. ვ. ა. გონგაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თეთრი წყაროს № 112 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ვარლამ ალექსანდრეს-ძე გოხგაძე, საქართველოს კ. ბ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1899 წელს დაბადებული, სოფელ თეთრი წყაროს მცხოვრები.

ამბ. მ. ი. მეხრაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თეთრი წყაროს რაონის მაზგალოს № 113 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. მარიამ იაგორის ასული მეხრაძე, მაზგალოს ქალთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, უპარტიო, 1918 წელს დაბადებული, დაბა მაზგალოს მცხოვრები.

ამბ. ვ. ვ. ნანეიშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თეთრი წყაროს რაონის ალაგეთის № 114 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ვლადიმერ ვაიდენის-ძე ნანეიშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1903 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. შ. ვ. ქოჩლაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თეთრი წყაროს რაონის ჯოოჯღალეშეულის № 115 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. შალვა ვარლამის-ძე ქოჩლაძე, საქართველოს კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1901 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ბ. დ. ისიანის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოლნისის № 116 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. გიორგი დავითის-ძე ისიანი, დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1897 წელს დაბადებული, დაბა ბოლნისის მცხოვრები.

ამბ. მ. ყ. ყულიევის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოლნისის რაიონის არუხლოს № 117 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. მაზმედ ყულა-ოღლი ყულიევი, მშრომელთა დეპუტატების ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1910 წელს დაბადებული, დაბა ბოლნისის მცხოვრები.

ამბ. ქ. ა. ლომაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოლნისის რაიონის ქვეშის № 118 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. კარლო მელეტინის-ძე ლომაძე, საქართველოს კ. ბ. (ბ) ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1909 წელს დაბადებული, დაბა ბოლნისის მცხოვრები.

ამბ. ს. ა. ქირხიეკეა კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოლნისის რაიონის ქვემო ბოლნისის № 119 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. სოხა აბეკრეი ყზი კირხიეკეა, საქართველოს სსრ ქვემო ბოლნისის XVIII პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობის წევრი, უპარტიო, 1928 წელს დაბადებული, სოფელ ქვემო ბოლნისის მცხოვრები.

ამბ. ვ. ქ. სანიკიძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მარნეულის № 120 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ელადიმერ კირილეს-ძე სანიკიძე, საქართველოს კ. ბ. (ბ) მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1912 წელს დაბადებული, სოფელ მარნეულის მცხოვრები.

ამბ. ხაჯა ზაალ ყზის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მარნეულის რაიონის გიორგრანის № 121 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ხაჯა ზაალ ყზი, სოფელ კაფანახნის მახარობლის სახელობის კოლმეურნეობის მეოროლური, უპარტიო, 1900 წელს დაბადებული, სოფელ კაფანახნის მცხოვრები.

ამბ. ა. ბ. ყარაბაღლის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მარნეულის რაიონის შულავრის № 122 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. აჯაბ გურგენის ყზი ყარაბაღლი, სოფელ ტაშჭალის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, 1927 წელს დაბადებული, სოფელ ტაშჭალის მცხოვრები.

ამბ. მ. უ. ჩხეიძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მარნეულის რაიონის სადახლოს № 123 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძე, სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1909 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. ბ. ბ. გონდარეკვის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მარნეულის რაიონის მამუნიანის № 124 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. ანფინა ივანეს-ძე ბონდარევი, საქართველოს კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგგემო, საფინანსო და სავაჭრო განყოფილების გამგის მოადგილე, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1905 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

ამბ. დ. ზ. ცირეკიძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გარდაბნის № 125 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამბ. დავთ ზაქარიას-ძე ცირეკიძე, საქართველოს კ. ბ. (ბ) გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. ბ. (ბ) წევრი, 1907 წელს დაბადებული, სოფელ გარდაბნის მცხოვრები.

პრესის მიმოხილვა

გაზეთი კარგად აშუქებს არჩევნებისათვის მზადებას

წარმატებით ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ქალაქ ფოთისა და მისი რაიონის მშრომელები. ყოველ დღეს ახალ-ახალი მიღწევით აღნიშნავენ ისინი.

კოლხიდელებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. ყოველდღიურად იცვლის სახეს, იზრდება და ლამაზდება მათი მშობლიური ქალაქი ფოთი, ხოლო ქალაქის გარშემო ვითარდება სუბტროპიკულ კულტურათა სასოფლო-სამეურნეო რაიონი.

შრომისმოყვარე კოლხიდელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები აღნიშნონ ახალი სამეურნეო წარმატებებით. ამის მისაღწევად მათ ფართოდ გაშალეს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, ბეჯითად სწავლობენ დიად სტალინურ კონსტიტუციას, არჩევნების დებულებას, ყველა მშრომელი აქტიურად მონაწილეობს არჩევნებისათვის მზადებაში. ამ საკითხებს საარჩევნო კამპანიის პირველი დღიდანვე შინაარსიანად აშუქებს ფოთის საქალაქო გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი“ (რედაქტორი ი. წურწუმია).

არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოქვეყნების პირველი დღეებიდანვე გაზეთი ვრცლად აშუქებს მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ზრდის საკითხებს, თანმიმდევრულად და საქმის ცოდნით წერს ცალკე კოლექტივებისა და მოწინავე ადამიანების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, განაზოგადებს და ხელს უწყობს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს წინა არჩევნების დროს მასობრივ-საააგიტაციო მუშაობაში მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცებასა და კიდევ უფრო განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ გაზეთი ხშირად ბეჭდავს თემატურ გვერდებს ამომრჩეველთა დასახმარებლად, აიარაღებს პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს საჭირო მასალებით. თითქმის ყველა ნომერში ნახავთ მოფიქრებულად გაკეთებულ წერილებს ქალაქ ფოთისა და მისი რაიონის წინსვლის შესახებ, კოლხიდელთა თავდადებული მუშაობისა და მათი ბედნიერი და სამური ცხოვრების შესახებ.

ქალაქ ფოთის ზრდისა და განვითარების ცოცხალ, საინტერესო სურათს იძლევა ნარკვევი სათაურით „ფოთი დღეს“ (№ 246). საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფოთმა მკვეთრად იცვალა სახე, იგი ნამდვილ სოციალისტურ ქალაქად გადაიქცა. ქალაქის მშრომელები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით.

„ქალაქის ცენტრალურ სტენდზე მოწოდებაა:

— გიყვარდეს შენი ქალაქი, იზრუნე მისი კეთილმოწყობისათვის!

ეს მიმართვა-მოწოდება ხორცშესხმულია: უყვართ თავიანთი ქალაქი, ზრუნავენ მისთვის. მშრომელთა მხარდაჭერით, მათი უშუალო მონაწილეობით კეთდება ყველაფერი.

მაინც რომელმა ორგანიზაციამ, ვინ ისახელა თავი ამ მხრივ? ბევრმა. ძნელია მათი ჩამოთვლა.

ადამიანები ნავსადგურიდან, რკინიგზიდან, კოლხიდმშენიდან, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატიდან, წისქვილკომბინატიდან, ჰიდროტექნიკუმიდან, ყველა ორგანიზაციიდან ხალისით გამოდიან თავიანთი ქალაქის გასამშვენიერებლად, სრულდება მიწის სამუშაოები, გრძელდება გამწვანება.

იყო ქალაქში მალარია და ახლა აღარ არის. არის მებრძოლი, ჯანმრთელი, კეთილმოწყობილი, საყვარელი ქალაქი, რომელსაც აკრავს აყვავებული სოციალისტური სოფლები. ქალადიდი, პატარა ფოთი, ყულევი“,—წერს ნარკვევის ავტორი.

წერილში სათაურით „მაღალ დონეზე დავაყენოთ საარჩევნო აგიტაცია“ (№ 4) ცოცხლადაა გადმოცემული ის მუშაობა, რომელსაც ფოთის რკინიგზის კვანძის პარტიული ორგანიზაცია ეწევა არჩევნებთან დაკავშირებით. საქმე ისეა მოწყობილი, რომ აგიტაციით მოცულ იქნას ყველა მშრომელი. აგიტატორებისათვის სისტემატურად ეწყობა სემინარები, კონსულტაციები. აგიტპუნქტში ხალისით იყრიან თავს რკინიგზელები. აქ მათთვის რეგულარულად იმართება ლექციები, მოხსენებები, გამოფენილია საარჩევნო ლიტერატურა, დადგმულია რადიო და სხვ. ამასთან წერილში საფუძვლიანადაა გაკრიტიკებული ცალკეული აგიტატორები, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ.

გაზეთს შემოღებული აქვს სპეციალური რუბრიკა — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად“. ამ სათაურის ქვეშ გამოქვეყნებულ მასალებში ლაპარაკია საწარმოთა კოლექტივებისა და ცალკე მოწინავე ადამიანების შრომითი მიღწევებზე, ნაჩვენებია, თუ როგორ ანაღდებენ ისინი არჩევნებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობასთან ერთად გაზეთი დიდ ადგილს უთმობს არჩევნებისათვის საორგანიზაციო და ტექნიკური მზადების საკითხებს.

არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით ფართო საგიტაციო მუშაობის გაშუქებას გაზეთი კარგად ათავსებს ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის წინაშე მდგომი მიმდინარე სამეურნეო ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლის უნარიანად გაშუქებასთან.

გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი“ კარგად აშუქებს არჩევნებისათვის მზადების ყველა საკითხს, სერიოზულ დახმარებას უწევს ფოთის მშრომელებს სამშობლოს წინაშე თავიანთი პატრიოტული მოვალეობის შესრულების საქმეში.

გაზეთის მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით, კიდევ უფრო ქმედითი გახადოს პროპაგანდისტული მუშაობა, კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

ნოვატორები აღიდებენ მანქანათა წარმადობას

უკანასკნელ ხანებში მრავალ ტექნიკურ გაუმჯობესებათა განხორციელებით თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის რაციონალიზატორებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის, საგეგმო დავალების გადაჭარბებით შესრულების საქმეში. ფაბრიკაში საგრძნობლად გაახანგრძლივეს ჩაის შემფუთავი ავტომატის შეკეთებათა შორის მუშაობა. ეს შესაძლებელი გახდა მექანიკოს ი. სოსნოვსკის რაციონალიზატორული წინადადების განხორციელების შედეგად. მან ფერადი ლითონის ნაცვლად აგრეგატს ფოლადის ბერკეტები გაუკეთა. ამან გააიაფა აგრეგატი და ამასთან გაახანგრძლივა მისი მუშაობა. გარდა ამისა, სოსნოვსკიმ სრიალა საკისრების ნაცვლად გამოიყენა ბურთულა საკისრები. რითაც შეამცირა მოხახუნე ზედაპირების ცვეთა. ამ გაუმჯობესების შემდეგ აგრეგატები ათასი საათის ნაცვლად შეუკეთებლად ორი ათას საათს მუშაობენ.

ზოგჯერ ავტომატურ სასწორში გაჩხირდება ჩაის გუნდა, რომელიც დამუშავების პროცესში ჩაის რამდენიმე გამხმარი ფოთლის შეკვრით წარმოიქმნება. მაშინ ჩაის შემფუთავი ავტომატის მუშაობა ფერხდება. ასეთი შეფერხება საკმაოდ დიდ დროს ართმევს მუშებს. ოსტატმა შ. ქუმსიაშვილმა ამ შეფერხების მინიმუმამდე შემცირების მიზნით ნოვატორული ღონისძიება განახორციელა. მან ავტომატური სასწორი მოძრავი ბერკეტით დაუკავშირა ჩაის მიმწოდებელ მილს. ეს ბერკეტი მიმწოდებელ მილში მოძრაობს, შეკრულ ჩაის ფოთლებს შლის, აცალკევებს და ამით აადვილებს მათ გავლას სასწორში.

ამჟამად ფაბრიკაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს შიდასაქარხნო ტრანსპორტისა და სასაწყობო მეურნეობის მექანიზაციისათვის. ამასთან რაციონალიზატორებს მიცემული აქვთ ამოცანა რაც შეიძლება მეტად გაამარტივონ ჩაის შემფუთავი ავტომატები.

მექანიკოსთა წარმატება

სიღნაღი. (საკ. კორ.). ალაზნის მტს-ის კოლექტივმა გასული წლის მეოთხე კვარტალში 33 ტრაქტორის ნაცვლად 34 შეაკეთა. იანვრის პირველ ხუთდღიურში გრაფიკით აქ ნავარაუდევი იყო 4 ტრაქტორის შეკეთება, ფაქტიურად შეაკეთეს 7 ტრაქტორი. მტს-ში მთლიანად არის დამთავრებული მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი.

მიხეილ ლაზარიაშვილის სარემონტო ბრიგადამ უკვე მთლიანად დაამთავრა 7 ტრაქტორის რემონტი. ტრაქტორების რემონტი დაამთავრეს აგრეთვე გ. ყაჯრიშვილისა და გ. ჯავახიშვილის ბრიგადებმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლენინის ორდენოსანმა ტრაქტორისტმა ელენე ნატროშვილმა „სტზ-ნატის“ მარკის ტრაქტორის რემონტი 14 დღეში შეასრულა, გრაფიკით კი 25 დღე იყო ნავარაუდევი.

სიღნაღელი მექანიზატორები წარმატებით ანაღდებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დაწინაურდნენ ახალი ადამიანები

— ორ თვეში 4.200 მეტრი ქსოვილის ეკონომია! — ასეთი ვალდებულება იკისრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს 30-ე წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმისას თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა.

ქსოვილის ეკონომიის მიღწევა უმთავრესად გამომჭრელზეა დამოკიდებული. თარგების კომბინირებული დალაგებისა და გამოჭრის რაციონალიზაციის შედეგად გამომჭრელთა შორის საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ მ. ციხიშვილი, ე. თევდორაძე, ხ. აკოფოვი.

ახალ ასორტიმენტს — ბავშვის შალის კაბებსა და ხავერდის კოსტიუმებს კერავს პირველი სამკერვალო საამქრო, რომელიც ყოველდღიურ საგეგმო დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. კარგად მუშაობს მესამე სამკერვალო საამქროც. ფაბრიკაში განსაკუთრებით გამოირჩევიან მ. დარჯანიას, ე. ბაზლაძის, ნ. გაბინაშვილის, ქ. შავლაყაძის სამკერვალო აგრეგატები.

არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ახალი ადამიანები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. გუგულაშვილის, ლ. ბეროზაშვილის, ქ. სხირტლაძის და ჯ. სარქისიანის მაღალნაყოფიერი მუშაობა.

აბრეშუმის მქსოველთა პირველი წარმატება

კარგად ასრულებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს 30-ე წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი. ხამი ქსოვილის გამოშვების იანვრის ორი დეკადის გეგმა ფაბრიკაში 109 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვეს 20.000 მეტრი ქსოვილი.

წარმატებებს მიაღწიეს ვ. ბარნაბიშვილის და თ. ჯაბუას მქსოველთა ბრიგადებმა. ახალგაზრდა მქსოველები ნ. ნებიერიძე, ე. სოლომონია და ფ. გიორგაძე სტახანოვურ ვახტზე დგანან და ყოველდღიურ საგეგმო დავალებას 50-60 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებენ.

აბრეშუმის მქსოველები იბრძვიან იანვარ-თებერვლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ისინი მიზნად ისახავენ 25 თებერვლისათვის ორი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1 მილიონი მანეთის პროდუქცია, თვითღირებულება შეამცირონ 0,5 პროცენტით და გასწიონ 300.000 მანეთის ეკონომია.

თესვისათვის მზადება გაჩაღდა

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). ლაგოდეხელი კოლმეურნეები ენერგიულად შრომობენ წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოყვანისათვის და ყველა პირობას ქმნიან საგაზაფხულო თესვის აგროტექნიკურ ვადებში მაღალხარისხოვნად დასამთავრებლად. კოლმეურნეობებს აქვთ სიმინდის, კარტოფილის, ლობიოს, მზესუმზირას, შვრიის და სხვა კულტურების სრულ კონდიციამდე აყვანილი საკმაო თესლი.

წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, რაც მალე დამთავრდება. ამ მხრივ მრავალი კოლმეურნეობაა მოწინავე. სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომამ“ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი გ. ნატროშვილი) შეაკეთა გეგმით გათვალისწინებული 20 გუთანი, 20 ცალი კულტივატორი, 2 სათესი მანქანა, 100 ცალი ფარცხი. იარაღ-მანქანების რემონტი დაამთავრეს ორჯონიკიძის, მალენკოვის სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

სერიოზული ყურადღება ექცევა ნიადაგში სასუქების შეტანას. 1950 წელს რაიონის კოლმეურნეობებში გეგმით უნდა შემოზიდულიყო 2.610 ტონა მინერალური სასუქი, ფაქტიურად შემოზიდეს 3.058 ტონა და შეიტანეს ნათესებში. გარდა ამისა, [illegible] ხორბლის ნათესის გამოსაკვებად მინდვრად გატანილია 3.230 ტონა ნაკელი.

ხორბლის მოსავლიანობის გასადიდებლად ათვისებულია 863 ჰექტარი მიწა, დაითესება ადგილობრივი ჯიშის ხორბალი — ლაგოდეხის გრძელთავთავა, რომელიც უხვ მოსავალს იძლევა.

ყველა კოლმეურნეობაში დამთავრებულია ინვენტარიზაცია, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და ბუღალტრებს გაეწიათ ინსტრუქტაჟი წლიური ანგარიშების შედგენის საკითხებზე.

ბევრ კოლმეურნეობაში უკვე გამორკვეულია, რამდენს გაანაწილებენ საბოლოოდ მარცვლად და ფულად. კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ შრომადღეზე გასცემს 3,5 კილოგრამ მარცვლეულს და 10 მანეთს. კოლმეურნეობა „შრომა“ შრომადღეზე ანაწილებს 4 კილოგრამ მარცვლეულს, ფულად კი 15 მანეთს. ასევე კარგი მოსავალი და შემოსავალი აქვს გასანაწილებლად მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას.

კოლმეურნეები თავდადებით შრომობენ, რათა ახალი წარმატებით აღნიშნონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 18 თებერვალი და საბჭოთა საქართველოს XXX წლისთავი.

ტრაქტორების რემონტი

საქართველოს მტს-ებში 20 იანვრისათვის ტრაქტორების შეკეთების ზამთრის გეგმა შესრულებულია 72,8 პროცენტით. რემონტი მთლიანად დამთავრებულია 9 მტს-ში, მათ შორის კოლხიდის, ქუთაისის, ჩხარის, ბოგდანოვკის, თიანეთის, ყვარლის, დილმის, მარტყოფისა და თელეთის მტს-ებში.

დავალება 80-ზე მეტი პროცენტით არის შესრულებული ქობულეთის, აბაშის, გეგეჭკორის, დუშეთის, ახალქალაქის, ვაჩიანის, ახალციხის, ადიგენის, წალკის, წითელწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, აფენის მტს-ებში.

საგარეჯოს მტს-მა ზამთრის გეგმა მხოლოდ 29,3 პროცენტით შეასრულა, შულავერისამ — 37, გალის — 45,2, წალენჯიხის — 40, მცხეთის — 51,1, კასპის — 55,2, ქარელის — 50, სამტრედიის — 54,2, ხობის — 51,9, ჩხოროწყუს — 54,5, ოჩამჩირის მტს-მა—52,9 პროცენტით.

შეკეთებულია 1.059 გუთანი

მომავალი გაზაფხულისათვის რესპუბლიკის მტს-ებმა გეგმით ტრაქტორის 2.100 გუთანი უნდა შეაკეთონ. აქედან უკვე შეკეთებულია 1.059 გუთანი. ზამთრის გეგმა შესრულებულია გულრიფშის (118 პროცენტით), ქობულეთის (სამმაგად), მახარაძის, ლანჩხუთის, კოლხიდის, ზუგდიდის, წულუკიძის, ჩხარის, ბოგდანოვკის, დილმის, მარტყოფის, თელეთის (110 პროცენტით) მტს-ებში.

გეგმის შესრულება 90 პროცენტს აჭარბებს ოჩამჩირის, გორისა და ახალციხის მტს-ებში.

ზოგიერთ მტს-ს რემონტიდან ერთი გუთანიც არ გამოუშვია. ასეთები არიან ენისლის, ადიგენის, წყალტუბოს, წალენჯიხის, გუდაუთის მტს-ები.

დავალება 30-ზე ნაკლები პროცენტით არის შესრულებული აგარის, ქარელის, შინდისის, კასპის, ახალქალაქის, მცხეთის მტს-ებში.

მომზადებულია 293 სათესი

20 იანვრისათვის საქართველოს მტს-ებმა ზამთრის გეგმით გათვალისწინებული 690 სათესიდან 293 სათესი შეაკეთეს, დავალება შესრულებულია 42,5 პროცენტით. სათესები მთლიანად შეაკეთეს თელეთის, მარტყოფის, დილმის, წალკის, ბოგდანოვკის, ვაჩიანის, დუშეთის მტს-ებმა.

ვაჩიანის მტს-მა გეგმით გათვალისწინებული 1 სათესის ნაცვლად 4 სათესი შეაკეთა, ბოგდანოვკის მტს-მა კი 3 სათესის ნაცვლად 9 სათესი.

ზოგან დიდი ჩამორჩენაა. შულავერის მტს-ში 22 სათესიდან ერთიც არ შეუკეთებიათ. ასეთივე მდგომარეობაა აფენის მტს-ში, შეუკეთებელია 9 სათესი, ენისლის მტს-ში — 6 სათესი.

რუისისა და კასპის მტს-ებში ზამთრის გეგმა მხოლოდ 11,8 პროცენტით არის შესრულებული, სტალინირის მტს-ში — 7,1, წითელწყაროს — 15, საგარეჯოს — 16,7, ახმეტის — 27,3, გურჯაანის — 12,5, დმანისის —10, წითელქალაქის—23,5, ახალსოფლის — 22,7, ქარელის მტს-ში — 15,4 პროცენტით.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო კადრების მომზადება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ახლახან ჩამოყალიბებულ პროპაგანდის სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს — რაიონის პროპაგანდის ჯგუფებს მეტად პასუხსაგები ამოცანები აქვთ დაკისრებული. სხვა დავალებათა შორის პროპაგანდის სამმართველოს დაკისრებული აქვს ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადება.

ლენინ-სტალინის პარტიის მზრუნველობის შედეგად გამოიზარდნენ საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევების გამოყენებით სასწაულებს ახდენენ უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. ამჟამად საქართველოს რესპუბლიკას სოფლის მეურნეობის დარგში 975 სოციალისტური შრომის გმირი და ათასობით ორდენოსანი ჰყავს.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, რომ კოლმეურნეობის ყველა წევრი, საბჭოთა მეურნეობის და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები ღრმად დაეუფლონ მეცნიერების მიღწევებს და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებას.

1950 წლის 1 ოქტომბრიდან მთელ საბჭოთა კავშირში შემოღებულია მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადება სამწლიან აგრო-ზოოტექნიკურ კურსებზე. სწავლების სამივე წლისათვის შედგენილია ერთიანი სასწავლო გეგმა. თვითეულ კოლმეურნეობაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოწყობილია აგრო-ზოოტექნიკური სამწლიანი კურსები. კურსები ამზადებენ მემცენარეობისა და მეცხოველეობის ოსტატებს.

კურსებზე სწავლების პირველი წლის პროგრამით გათვალისწინებულია იმ აგროტექნიკური ან ზოოტექნიკური ცოდნის სავალდებულო მინიმუმის ათვისება, რომელიც სჭირდება კოლმეურნეს განსაზღვრულ დარგში მუშაობისათვის.

სწავლების მეორე წლის პროგრამით გათვალისწინებულია მომზადება სოფლის მეურნეობის მეორე თანრიგის ოსტატისა, რომელიც დაუფლებულია ერთი ან ერთნაირი კულტურების ჯგუფის უხვი მოსავლის ანდა ცალკეული სახის ცხოველების მაღალი პროდუქტიულობის მიღების ცოდნას, მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს.

სწავლების მესამე წლის პროგრამით გათვალისწინებულია მომზადება სოფლის მეურნეობის პირველი თანრიგის ოსტატისა, რომელიც დაუფლებულია საკოლმეურნეო წარმოების ერთ-ერთ დარგში—მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები, მეცხოველეობა—მუშაობის ცოდნას, მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს.

სწავლების პირველი წლის პროგრამის ათვისების და გამოცდების ჩაბარების შემდეგ კოლმეურნეს ეძლევა მოწმობა აგროტექნიკური ან ზოოტექნიკური მინიმუმის დაუფლების შესახებ.

სწავლების მეორე წლის პროგრამის ათვისების და გამოცდების ჩაბარების შემდეგ კოლმეურნეს ენიჭება მეორე თანრიგის ოსტატის წოდება, ხოლო მესამე წლის პროგრამის ათვისების და გამოცდების ჩაბარების შემდეგ კი კოლმეურნეს ენიჭება სოფლის მეურნეობის პირველი თანრიგის ოსტატის წოდება და ეძლევა ატესტატი მიღებული სპეციალობის ჩვენებით.

აგრო-ზოოტექნიკური საკოლმეურნეო სამწლიანი კურსების მასწავლებელთა წინაშე დიდი ამოცანები დგას. საჭიროა მასწავლებელმა კარგად შეასწავლოს მსმენელებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ცალკეული პროცესების უკეთესად და უფრო მაღალხარისხოვნად შესრულების ხერხები და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის მეთოდები. სწავლება ისე უნდა მოეწყოს, რომ თვითეული მსმენელი დაინტერესებული იყოს კურსების პროგრამაში მოცემული მასალების ათვისებით.

მასწავლებლის ამოცანა პროგრამით გათვალისწინებული მასალების მარტო ახსნა-განმარტებით როდი ამოიწურება. იგი ვალდებულია ცალკეული აგრო-ზოოტექნიკური ღონისძიებანი გააცნოს მსმენელებს კოლმეურნეობაში პრაქტიკული ვარჯიშობის დროს, გამოიყენოს მეცნიერების მიღწევები და მოწინავე კოლმეურნეთა მუშაობის მეთოდები.

ყოველი წლის შემოდგომაზე შეჯამებულ უნდა იქნას საწარმოო დავალების შესრულების შედეგები. მაღალი მაჩვენებლების მიღების მიზნით კურსებზე მეცადინეობა ორგანულად უნდა დავუკავშიროთ კოლმეურნეობებში საწარმოო დავალებათა შესრულებას.

ცხადია, რომ, თუ ასე დავაყენებთ სწავლების საქმეს კურსებზე, უფრო კარგად და მოკლე დროში მივაღწევთ სოფლის მეურნეობის ნამდვილი ოსტატების მომზადებას.

ამჟამად, როდესაც საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულია რესპუბლიკის საკუთარი წარმოების პურით უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემდგომი ზრდის და მისი პროდუქტიულობის ამაღლების, მევენახეობისა და მაღალხარისხოვანი მეღვინეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა, მოწინავე აგროტექნიკის და ზოოტექნიკის მიღწევათა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე გახდა.

საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს კოლმეურნეობებში აგრო-ზოოტექნიკური კურსების მუშაობის მოწყობისათვის. ამჟამად საქართველოს კოლმეურნეობებში შექმნილია 1.575 აგრო-ზოოტექნიკური კურსები. კურსებზე სწავლობს 41.600 კოლმეურნე.

ცხაკაიას, ჩოხატაურის და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებში სამწლიანი აგრო-ზოოტექნიკური კურსების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფას თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქციეს, რის შედეგადაც კურსები დაკომპლექტებულია კვალიფიციური მასწავლებლებით, უზრუნველყოფილია კარგად მოწყობილი სამეცადინო ოთახებით. მეცადინეობა დაწესებულ ვადებში და მაღალ დონეზე მიმდინარეობს. პარტიის რაიონული კომიტეტები და რაიაღმასკომები სისტემატურად ამოწმებენ კურსებზე მეცადინეობის მიმდინარეობას და სახავენ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. ქარელის რაიონში ჩამოყალიბებულია 12 აგროტექნიკური და 6 ზოოტექნიკური კურსები. მეცადინეობა წარმოებდა საღამოს საათებში, ამასთან მეცადინეობის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 1-2 საათს, ნაცვლად იმისა, რომ გრძელდებოდეს 8 საათს. ეხედებით მეცადინეობის ჩაშლის მთელ რიგ შემთხვევებს. ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება ვალდებულია მეტი ყურადღება მიაქციოს საკოლმეურნეო კადრების მომზადებას.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრო-ზოოტექნიკური სწავლება საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებში. საგარეჯოს ბერიას სახელობის, მარქსის და პატარძეულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში აგროტექნიკურ კურსებზე ჩატარებულია თითო მეცადინეობა, ნაცვლად 15 მეცადინეობისა. აღსანიშნავია ისიც, რომ არ არის მიღებული სათანადო ზომები მსმენელთა დასწრების უზრუნველსაყოფად.

ბოლნისის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობების აგროტექნიკურ კურსებზე ხშირია მეცადინეობის ჩაშლა. მსგავსი მდგომარეობაა მცხეთის რაიონში.

კურსებზე მსმენელების დასწრება არადამაკმაყოფილებელია ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში კურსებზე შემოღებული არ არის ერთიანი ჟურნალი, რომელშიც უნდა ხდებოდეს გავლილი მასალისა და მსმენელთა დასწრების აღრიცხვა, მსმენელთა ცოდნის შეფასება. ზოგან პედაგოგიური საბჭო ფორმალურად არსებობს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თვალსაჩინო სასწავლო საგნების დამზადება. ამ მიზნით საკმაოდ არ არის გამოყენებული რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მდიდარი მასალა. კურსებზე არ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო კინოფილმებს და დიაპოზიტივებს. ასეა მაგალითად სიღნაღის რაიონში.

კურსების გამგეებმა და მასწავლებლებმა საჭიროა მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ თვითეულ თემაზე მეცადინეობა მოეწყოს თვალსაჩინო საგნების გამოყენებით, აგრეთვე მეცადინეობის დროს ნაჩვენები იქნას ის სასოფლო-სამეურნეო კინოფილმები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ კურსებზე საჩვენებლად. ამავე დროს სასწავლო პროცესში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მსმენელთა ექსკურსიების მოწყობა. სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის მუშაკებმა მეტი მეთოდური დახმარება უნდა გაუწიონ მასწავლებლებს თემებისა და მარშრუტების შედგენაში.

გვახსოვდეს, რომ მასობრივი საკოლმეურნეო კადრების სამწლიანი კურსების მუშაობის მაღალხარისხოვნად მოწყობა მძლავრი ფაქტორია ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამიტომ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და სასოფლო - სამეურნეო ორგანოების ამოცანაა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით და ყურადღებით მოაწყონ კურსების მუშაობა.

რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეებმა სისტემატურად უნდა შეამოწმონ კოლმეურნეობებში აგრო-ზოოტექნიკურ კურსებზე მეცადინეობის მიმდინარეობა და საჭიროების შემთხვევაში საკითხი დააყენონ პარტიის რაიონულ კომიტეტებსა და რაისაბჭოს აღმასკომებში სათანადო ღონისძიებათა მისაღებად.

ყოველთვიურად მოწვეულ უნდა იქნას პედაგოგიური საბჭოს სხდომები კურსებზე მეცადინეობის მიმდინარეობის, მასწავლებლების მიერ თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და ექსპონატების გამოყენების და პრაქტიკული მეცადინეობის უკეთ მოწყობის საკითხების განსახილველად.

აუცილებელია სასწრაფოდ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი აგრო-ზოოტექნიკური კურსების მუშაობაში და საქმე ისე მოვაწყოთ, რომ მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის კურსებმა დაამთავრონ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალის გავლა და შეთვისება. ჩვენს მზარდ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას მივცეთ მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს დაუფლებული საკოლმეურნეო კადრები, — ასეთია ამოცანა.

დ. დოლიძე

დოცენტი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროპაგანდის სამმართველოს უფროსის მოადგილე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა გუშინ განაახლა კორეის საკითხის განხილვა. პირველი გამოვიდა ინდოეთის წარმომადგენელი რაუ, რომელმაც მოაგონა კომიტეტს, რომ, როგორც მან წინა სხდომაზე განაცხადა, ჩინეთის სახალხო [illegible]

[illegible]

წყვეტის შესახებ იმისათვის, რომ [illegible] მიეცეს შეისწავლოს განცხადების ტექსტი და კონსულტაცია მიიღოს თავისი მთავრობისაგან.

ვენესუელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას განზრახული ჰქონდა მხარი დაეჭირა ამერიკის პროექტისათვის, მაგრამ, რამდენადაც რაუმ წაიკითხა პეკინის ახალი მიმართვა, მან უნდა დაიტოვოს უფრო გვიან გამოსვლის უფლება.

საბერძნეთის წარმომადგენელი გამოვიდა კომიტეტის მუშაობის შეწყვეტის წინააღმდეგ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბოლივიის წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა 22 იანვარს ხმა მიეცა რეზოლუციის ამერიკის პროექტისათვის, მაგრამ ახალი განცხადების მიღების გამო უნდა დაიტოვოს [illegible]

[illegible] დადება დაიხუროს სხდომა და შემდეგი სხდომა დაინიშნოს 24 იანვარს დილით.

დელეგაციებს შორის, რომლებმაც ხმა მისცეს ამ წინადადებას, იყვნენ საბჭოთა კავშირის, ინგლისის, საფრანგეთის, კანადისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციები; იმათ შორის, ვინც თავი შეიკავა,—ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და არგენტინის დელეგაციები.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 24 იანვარი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები და ჩინელი მოხალისეები ყველა ფრონტზე კვლავ წარმატებით ავითარებდნენ ოპერა[illegible]

ჩრდილოეთ ფხენიანის პროვინციის გლეხთა კონფერენცია

ფხენიანი, 24 იანვარი. (საქდესი). [illegible]

[illegible] ჩრდილოეთ ფხენიანის პროვინციის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის ლი იუ მინის მოხსენება გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესებისა და ოკუპაციის შედეგად დაზარალებულ გლეხთათვის დახმარების შესახებ. მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრ პაკ მუნ გიუს მოხსენება საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მზადების შესახებ.

კამათის მონაწილე გლეხები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მტერზე სრული გამარჯვებისათვის საჭიროა მაღლა იქნას აღდგენილი სოფლის მეურნეობა, გადიდდეს წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავალი, უზრუნველყოფილ იქნას სურსათით ფრონტი და ზურგი.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ მუშები და სახალხო არმიის წარმომადგენლები.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მეომრების დაჯილდოება

ფხენიანი, 25 იანვარი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის 1951 წლის 22 იანვრის ბრძანებულებით ამერიკელი შეიარაღებული აგრესორების წინააღმდეგ სამართლიან განმათავისუფლებელ სამამულო ომში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდება მიენიჭათ სახალხო არმიის ოფიცრებს კიმ სან ხოს, იუ ვონ ჩენს და ცოი დენ უნს, რომლებსაც ამავე დროს გადაეცათ ოქროს მედალი და „სახელმწიფო დროშის" პირველი ხარისხის ორდენი. ნო ჩერ ენი და მფრინავი პაკ გი სუ დაჯილდოებული არიან პირველი ხარისხის „სახელმწიფო დროშის" ორდენით.

ჰოლანდიის არმიის გენერალური შტაბის უფროსის კრულსის გადადგომა

ჰააგა, 24 იანვარი. (საქდესი). ომის ამერიკელი გამჩაღებლების ზეგავლენის შედეგად, რომლებიც მოითხოვენ სამხედრო მზადების გაძლიერებას და საზარბაზნე ხორცის მიწოდებას, ჰოლანდიის მმართველ წრეებს შორის უთანხმოებაა; პროამერიკული „შრომის პარტიის" ხელმძღვანელობასა და სამხედრო სარდლობას შორის არსებულ მწვავე წინააღმდეგობას შედეგად ის მოჰყვა, რომ გუშინ გადადგა ჰოლანდიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი კრულსი. გადადგა აგრეთვე მისი მოადგილე გენერალი კალმეიერი.

„ტელეგრაფის" ცნობით, გადამდგარი კრულსის ნაცვლად ჰოლანდიის არმიის გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე დაინიშნა პოლკოვნიკი ჰასელმანი.

თურქეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო მოლაპარაკება

ბეირუთი, 24 იანვარი. (საქდესი). ეგვიპტის გაზეთი „ალ-მისრი" იუწყება, რომ წარმოებს თურქეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო მოლაპარაკება.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მე-3 კონგრესის მანიფესტი გერმანელი ხალხისადმი

ბერლინი, 23 იანვარი. (საქდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მე-3 კონგრესმა გერმანელ ხალხს მიმართა მანიფესტით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„ამერიკელი იმპერიალისტები მთელ ძალებს ხარჯავენ ევროპაში ომის გასაჩაღებლად. ისინი უდიდეს ღონისძიებებს მიმართავენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და გერმანული დაქირავებული არმიის შექმნისათვის. დასავლეთ გერმანიის აღორძინებული იმპერიალიზმი ამერიკის იმპერიალიზმის მთავარი იარაღი უნდა გახდეს ევროპაში, [illegible]

[illegible] ნი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მსხვერპლად შესწირონ ომის ამერიკელი გამჩაღებლების გეგმებს.

უცხოელი იმპერიალისტებისა და მათი გერმანელი ლაქიების ხრიკების საწინააღმდეგოდ გერმანელმა ხალხმა უნდა წამოაყენოს საკუთარი მოთხოვნა: უწინარეს ყოვლისა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გერმანელებმა უნდა დაიწყონ ერთობლივი მოლაპარაკება.

შემდეგ მანიფესტში ლაპარაკია საბჭოთა კავშირის დახმარებაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირმა, ხაზგასმით აღნიშნულია [illegible]

იტალიის სოციალისტური პარტიის 29-ე ყრილობის რეზოლუცია

რომი, 23 იანვარი. (საქდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის 29-ე ყრილობა, რომელმაც მუშაობა დაამთავრა 21 იანვარს ბოლონიაში, თავის პოლიტიკური რეზოლუციით მოუწოდებს იტალიელ ხალხს „იხსნას ერის არსებობა და მშვიდობიანი დემოკრატიული ეროვნული არსებობის საფუძვლები, რომლებსაც სერიოზუ[illegible]

[illegible] მოსახლეობის ყველა ფენის უკმაყოფილების მრავალ გამოხატულებას მიემატება ყოველი მამაკაცის, ყოველი ქალის, ყოველი ჭაბუკის აღშფოთების ხმა: ნუთუ მართლა საჭიროა ომი? ნუთუ მართლა გარდუვალია იგი?

იტალიის სოციალისტური პარტიის 29-ე ყრილობა ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ იტალიის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს არავითარი საფრთხე არ მოელის და არც შეიძლება მოელოდეს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისაგან.

ყრილობა აცხადებს, რომ ომი გარდუვალი არ არის...

ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებით დაინტერესებული ძალები თავიანთ გზაზე ხვდებიან დაბრკოლებებს, რომლებიც შეიძლება გადაულახავი გახდეს სოციალისტური სამყაროს დარაზმულობისა და ძლიერების გამო, კაპიტალიზმის გადაუჭრელ წინააღმდეგობათა გამო, ხალხის მასების სიმძლავრის გამო. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობამ თავის ამასწინანდელ ვარშავის კონგრესზე არამარტო ცხადყო, რომ იგი ორგანიზებული ძალაა, არამედ კიდევაც დაგვანახვა დღევანდელი დღის სამი უმთავრესი სა[illegible]

კითხის სამართლიანი მშვიდობიანი გადაწყვეტის გზა: ბოლო მოეღოს ომს კორეაში და ვიეტნამში, შეიქმნას ევროპაში გაერთიანებული დემილიტარიზებული გერმანია, თანდათანობით, საერთაშორისო კონტროლით შემცირდეს ყველა სახეობის შეიარაღება და აიკრძალოს ყველა სახეობის ატომური და ბაქტერიოლოგიური იარაღი.

[illegible]

[illegible] ტის და შემდგომ სამხედრო, ეკონომიურ პოლიტიკურ ვალდებულებათა დენონსირება, ჩვენი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა ყველა იმ შეთანხმებული ნაბიჯისათვის მხარდაჭერით, რომლებიც მიმართულია დაძაბული საერთაშორისო ურთიერთობის გამოსწორებისაკენ, განიარაღებისა და მშვიდობისაკენ, და სსრ კავშირთან და ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მტკიცე მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ეს უზრუნველყოფილ უნდა იქნას აგრეთვე საშინაო პოლიტიკით, რომელმაც უნდა მოგვცეს ყველა უფლებისა და თავისუფლების გარანტია დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების ფარგლებში და განუხრელად დაიცვას კონსტიტუცია; სოციალური და ეკონომიური პოლიტიკით, რომელიც მიმართული უნდა იყოს იტალიის ეკონომიკის აღმავლობისა და განვითარებისაკენ და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, რისთვისაც საჭიროა ნაყოფიერი კაპიტალდაბანდებანი და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობა, მსხვილი სამრეწველო მონოპოლიების ნაციონალიზაცია და აგრარული რეფორმის განხორციელება კონსტიტუციის ფორმისა და შინაარსის შესაბამისად".

ჩეხოსლოვაკიის ნოტა ამერიკის შეერთებულ შტატებისადმი

პრაღა, 24 იანვარი. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის საელჩოს გადასცა საპროტესტო ნოტა ამერიკის თვითმფრინავების მიერ ჩეხოსლოვაკიის საჰაერო საზღვრების დარღვევის წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელ ხანს და განსაკუთრებით [illegible]

[illegible] ოთხი ასეთივე რადიოგადამცემი, რომლებიც შეცდომით ჩამოუშვიათ ავსტრიის ტერიტორიაზე, მაგრამ რომლებიც აშკარად განკუთვნილი იყო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოშვებული ძირგამომთხრელი ელემენტების ჯაშუშური საქმიანობისათვის დახმარების გასაწევად.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე იპოვნეს აგრეთვე ამერიკული წარმოების რადიოგადამცემები, რომლებიც თვითმფრინავებიდან ჩამოშვებული იყო პარაშუტით.

ზემოაღნიშნული მოქმედების წინასწარგანზრახულობას ადასტურებს, გარდა ამისა, ჯაშუშური გადაფრენის ფაქტები, მაგალითად, 1950 წლის 14 ნოემბერს პავლოვიცის რაიონში ჩეხოსლოვაკიის საზღვრები ერთსა და იმავე დროს დაარღვია ოთხმა თვითმფრინავმა, 24 ნოემბერს დოლნი დვორიშტეს რაიონში— ორმა ავიაგამანადგურებელმა, ხოლო 1951 წლის 11 იანვარს მოხდა სამი ჯაშუშური გადაფრენა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების მიერ ჩეხოსლოვაკიის საზღვრების სისტემატური და უხეში დარღვევის წინააღმდეგ და კვლავ მტკიცედ მოითხოვს ამერიკის საელჩოსაგან მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ამგვარ დარღვევათა შესაწყვეტად.

შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრო მოითხოვს გამოძიებულ იქნას ზემოაღნიშნული ფაქტები და აცნობოს მას გამოძიების შედეგები.

პროგრესული პარტიის ხელმძღვანელობის წერილი ტრუმენისადმი

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. (საქდესი). პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ბენსონმა და მდივანმა ბოლდუინმა ტრუმენს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც აცხადებენ, რომ პრეზიდენტის მიმართვა კონგრესისადმი „შეერთებული შტატების მდგომარეობის შესახებ", მიმართვები ეკონომიურ საკითხებსა და ბიუჯეტის საკითხებზე „ხატავენ მსხვერპლის, უიმედობისა და სიკვდილის სურათს".

„თქვენ აპირებთ,—წერენ წერილის ავტორები, —წაგვართვათ ჩვენი 18 წლის ვაჟები, 25 პროცენტით დააქვეითოთ ცხოვრების დონე, ომის მთელ საშინელებაში ჩააგდოთ ჩვენი ხალხი და ჩამოგვართვათ სამოქალაქო უფლებანი და თავისუფლებანი. საბოლოო ანგარიშით, თუ ისტორიის გაკვეთილების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩათრეული ვიქნებით ტოტალურ ომში, რომელშიც ვერავინ ვერ გაიმარჯვებს და რომელმაც, შესაძლოა, ყველა მოგვსპოს.

ამ პროგრამის განსახორციელებლად თქვენ აპირებთ უახლოეს ორ წელიწადში გადაგვახდევინოთ 140 მილიარდი დოლარი, ანუ საშუალოდ 4 ათასი დოლარი გამოართვათ ყოველი ამერიკელის ოჯახს". აღნიშნავენ რა, რომ ტრუმენი აშკარად ამბობს უარს დააკმაყოფილოს ხალხის საარსებო საჭიროებანი საბინაო მშენებლობის, სამედიცინო მომსახურების, ხელფასის გადიდების, განათლების, ღრმად მოხუცთათვის პენსიების და სოციალური უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებათა დარგში, პროგრესული პარტიის ხელმძღვანელები წერენ:

„კორეაში საომარი მოქმედების განგრძობით ვკარგავთ ყველა ჩვენს მეგობარს აზიაში, ვკარგავთ ევროპის პატივისცემასა და მხარდაჭერას. ყოველივე ეს შეიძლება ავიშოროთ და კიდევაც უნდა ავიშოროთ თავიდან. მოგიწოდებთ ბოლო მოუღოთ კოლოსალურ მსხვერპლს კორეაში და შინ დააბრუნოთ ჩვენი ჯარები; დაიწყოთ მოლაპარაკება ჩინეთთან მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ; მისცეთ ინსტრუქციები ჩვენს წარმომადგენლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში—ხმა მისცენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი ჩინეთის დაუყოვნებლივ მიღებას; დაეთანხმოთ წინადადებას საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შესახებ და ამ თათბირზე მოითხოვოთ უახლოეს 60 დღეში განიარაღების კონფერენციის მოწვევა.

გერმანიისა და იაპონიის შეიარაღების გეგმების განხორციელება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ჩვენი ქვეყნის კოლოსალური ეკონომიური რესურსები გამოყენებულ უნდა იქნას ხალხის საკეთილდღეოდ და მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების წინაშე ეკონომიურ ვალდებულებათა შესასრულებლად".

წერილის ბოლოს ნათქვამია, რომ ტრუმენის მთავრობის მიერ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და ომისათვის მზადებაზე უარის თქმა შესაძლებელს გახდის გაუმჯობესდეს ამერიკელ მშრომელთა მდგომარეობა, მოისპოს სიღატაკე და მთელი ამერიკელი ხალხისათვის უზრუნველყოფილ იქნას ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

საფრანგეთის მთავრობის რეპრესიები გაზეთების „ლუმანიტესა" და „ლიბერასიონის" წინააღმდეგ

პარიზი, 24 იანვარი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილით მთავრობის ბრძანებით კონფისკებულ იქნა გაზეთების „ლუმანიტესა" და „ლიბერასიონის" მთელი ტირაჟი.

მთავრობის რეპრესიულ ღონისძიებათა მიუხედავად, ორივე გაზეთმა დამატებით ტირაჟში გამოაქვეყნა მოწოდება მოსახლეობისადმი—მიიღოს მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციაში, რაც გაიმართება სასტუმრო „ასტორიის" წინ საფრანგეთში გენერალ ეიზენჰაუერის ჩამოსვლის წინააღმდეგ.

ჩინელი კომუნისტების პარტიული სწავლება

პეკინი, 24 იანვარი. (საქდესი). გაზეთი „შინხუაჟიბაო" იუწყება, რომ არასრული ცნობებით, შანსის პროვინციაში 1950 წლის შუა ნოემბრიდან 1951 წლის 10 იანვრამდე ორკვირიანი პარტიული კურსები დაამთავრა 43.828 კომუნისტმა და მოხდა 2.592 სასოფლო პარტიული ორგანიზაციის რეორგანიზაცია.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელი მუშაკები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ კომუნისტების სწავლებასა და სასოფლო პარტიული ორგანიზაციების რეორგანიზაციას. რაიონების ხელმძღვანელი პასუხისმგებელი მუშაკები პირადად ხელმძღვანელობდნენ კურსებს და მასწავლებლებად იყვნენ იქ. პარტიული მუშაობის რეორგანიზაციაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სამაზრო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების 2,5 ათასზე მეტმა კადრის მუშაკმა.

მენდელეევის საზოგადოებაში

28 იანვარს, დღის 1 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის კორპუსში შედგება მენდელეევის სახელობის სრულიად საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება. მოისმენილი იქნება შემდეგი მოხსენებები: პროფესორ ფ. მ კაკაბაძისა—ქიმიკოსების როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში და გ. პ. ხა[illegible]ძისა—ელექტრო[illegible]ლიზის ზოგიერთი საკითხის მეცნ[illegible]ულ-მეთოდური გამოკვლევა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

[illegible]

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

27 იანვარს

06.45 — ახალგაზრდობის სიმღერები. 08.30— კონცერტი გრიგის ნაწარმოებებიდან. 17.15— [illegible]

დღეს კინოებში

„თბილისი", „ოქტომბერი", „იხანი"—„გაზაფხულ საკენში" (რუსული ვარიანტი); „სპარტაკი" — „ლენინი 1918 წელს" (დღისით), „მახე" (საღამოს); „კომკავშირელი"—„თოფიანი კაცი" (დღისით), „მოსკოვს დაშორებით" (საღამოს); 26 კომისრის სახელობის—„ფიცი" (მეორე დარბაზი). [illegible]

დღეს თეატრებში

[illegible]

ბერიას რაიონის მე-13 და მე-14 პოლიკლინიკების თანამშრომლები იუწყებიან **ბიძინა პლატონის-ძე გოგოძის** გარდაცვალებას.

მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის ბერიას რაისაბჭოს საფინანსო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ბიძინა პლატონის-ძე გოგოძის** გარდაცვალებას.

[illegible]

მეუღლე ლუკა, შვილები ვანო, ჟორა, მირონ, შვილები მანია, ლიდა ჩუბინიძეები ოჯახებით იუწყებიან **ნუცა ჩუბინიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-I, ქალაქ თელავში. ნინოშვილი, 20.

მეუღლე ოლღა, შვილები მარო, ნორა, ეთერ, ლიანა, სიძე გ. ტაბიძე ოჯახით იუწყებიან [illegible]

[illegible]